

თბილისში ავტოსატრანსპორტო საშუალებით გარევაჭრობა ჯარიმით დაისჯება



ავტოსატრანსპორტო საშუალებით გარევაჭრობისთვის ჯარიმის ოდენობა 1000 ლარი იქნება. ამის შესახებ მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გიორგი ბაგრატიონმა „რედიო პარიტრას“ ეთერში ისაუბრა. მისი ინფორმაციით,

გარევაჭრობისთვის ჯარიმა აქამდე დაწესებული იყო ყვედასთვის, ვინც გარევაჭრობას ეწეოდა, როგორც მცირე პროდუქციის გაყიდვით, ასევე შედარებით დიდი ოდენობით პროდუქციის გაყიდვით და მათ შორის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გაყიდვის შემთხვევებში. მისი განმარტებით, მოხდება ჩაშრა და გარე ვაჭრობაზე ჯარიმები განსხვავებული იქნება.

“როცა გარევაჭრობას ვეხებოდით, არ ჰქონდა მნიშვნელობა ეს იყო ფიზიკური პირი, რომელიც მცირე პროდუქციით ვაჭრობდა, თუ პირი, რომელიც მოძრავი, მისაბმელი კონსტრუქციის მაგვარი საშუალებით ვაჭრობდა. ჩვენ ვაპირებთ ამის ჩაშრას, რომ ყვედასთან ერთანირი მიღვთა არ იყოს, საჯარიმო სანქციებიც განსხვავებული იქნება. როცა დარღვევას ვნახავთ, მათ დაჯარიმებას ადგირზევე მოვახდენთ. საკრებულოს აქვს დადგენილება მიღებული, თუ სად არის აკრძალული გარევაჭრობა და ჩვენ ამას უფრო გავამკაცრებთ, გარევაჭრობისთვის დაწესებული 20-დარიანი ჯარიმა 100 ლარამდე გაიზრდება, განმეორებითი შემთხვევებისთვის დაწესებული 100-დარიანი ჯარიმის ოდენობა 500 ლარამდე აიწევს”- განაცხადა გიორგი ბაგრატიონმა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გარე ვაჭრობის მთლიანად აკრძალვას არ აპირებენ და ამისთვის შესაბამისი ღონისძიებები გამოიყოს. დიდი ბაზრობები მზად არიან, რომ გარე მოვაჭრეებს გამოუყონ ადგილები, შეღავათიან ფასებში, მათ შორის თავდაპირველად უსასყიდლოდაც.

„ვმუშაობთ, რომ შესაბამისი ადგილები გამოიყოს, ეს უფრო ტურისტულ ბონებში იქნება შესაძლებელი. ქართული გარევაჭრობის წინააღმდეგი ვართ, თორემ მოწესრიგებული გარევაჭრობა პრობლემას არ წარმოადგენს. შესაბამისი ღონისძიებები შედგება, აუქციონი გამოცხადდება, იქნება გარკვეული მოთხოვნები და ეს საკითხი მოწესრიგდება“, – აღნიშნა გიორგი ბაგრატიონმა.

თბილისის მერიამ გარევაჭრობის წინააღმდეგ ზომების მიღება 2017 წლის 19 მარტიდან დაიწყო.